23 APRILIE

RUGACIUNEA 4

SF.MARE MUCENIC

GHEORGHE DE LA CAPADOCIA

ჰოი, ყოვლადდიდებულო ღმრთივგვირგვინოსანო მოწამეო გიორგი, ანგელოსთა თანა შეერთებულო, მოციქულთა თანა პატივცემულო, მოწამეთა სრულებაო, მამათა დიდებაო, ქალწულთა შუენიერებაო, მვედრებელთა ყოველთა მსწარფლშემწეო, თხოვათა აღმასრულებელო და წყალობისა მომნიჭებელო; ჰოი, ყოვლადბრწყინვალეო ქრისტეს მოწამეო გიორგი, ბრწყინვალებითა ელვარებისა სიწმიდისა შენისათა განაბრწყინვე და დაიფარე ღმრთივდაცული ერი ჩუენი და მეუფებად მისი, საქართველოს წმიდად ეკლესიად, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, დიდი მეუფე, მამად ჩუენი ილია, ყოვლადსამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი, ეპისკოპოსნი და ყოველნი სამღვდელონი და სამონაზვნონი დასნი და ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტიანენი.

ეველდრე, წმიდაო მოწამეო ქრისტესო, შენგან შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, რათა მოგუანიჭოს მადლი და წყალობა თვისი აღურაცხელი; ჰოი, ყოველადქებულო და პატივცემულო წმიდაო მოწამეო გიორგი, ღმრთივდიდებულითა საკვირველებითა და ნიშებ-სასწაულებითა შენითა განათავისუფლენ ტყუენი, განკურნენ უძლურნი, გამოიხსენ განსაცდელსა შინა მყოფნი, განარინენ ზღუასა შინა მავალნი, მოაქციენ ცოდვილნი და შეაწყნარენ ქრისტესა ღმერთსა, ყოველთა შემწყნარებელსა და ყოველნი მადიდებელნი წმიდისა სახელისა შენისანი ადიდენ და აღამაღლენ სულითა და ხორცით, რაჲთა სასუფეველისა დიდებასა და დიდადშუენიერსა ბრწყინვალებასა ღმრთისასა ღირს ვიქმნეთ ყოველნი, ანგელოსთა თანა ვუგალობდეთ, წმიდათა თანა ვადიდებდეთ და შენ თანა გვირგვინოსანნი ვაკურთხებდეთ შენსა გვირგვინოსანმყოფელსა მამასა, შენსა განმაძლიერებელსა ძესა და შენ შორის მეტყუელსა სულსა წმიდასა, რომელსა შუენის ყოველი დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ. ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით

უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.